პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანი

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

8 ოქტომბერი ოთხშაბათი 1969 ფასი 2 კაპ.

გამოცემის 50-ე წელი ● № 234 (14534)

ᲚᲔᲜᲘᲜᲘᲡ ᲓᲐᲑᲐᲓᲔᲑᲘᲗᲘᲡ 100 ᲬᲚᲘᲡᲗᲐᲕᲘᲡ

500 მანქანა საიუბილეოდ

ბათუმი. (საკ. კორ.). გამოეხმაურა რა საქართველოს საწარმოების კომუნისტური შრომის დამკვრელთა მოწოდებას, ბათუმის სარემონტო მანქანების ქარხნის კოლექტივმა ვალდებულება იკისრა 1970 წლის 22 აპრილს იუბილეს დაზოგილი მასალებით და ამით 500 სარემონტო მანქანა „თოლია“ გამოუშვას.

ვალდებულებით გათვალისწინებულია აგრეთვე საიუბილეოდ დაზოგოს 6 ტონა ძვირფასი ლითონი, 600 კილოგრამი ალუმინის ნაგლინი, 100 კილოგრამი თითბერი, 300 კილოგრამი სალებავი და სხვ.

გაჩაღდა შრომა საწარმოს ყველა უბანზე.

ᲔᲠᲝᲕᲜᲣᲚᲘ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

ევროპის სოციალისტური ქვეყნების მუშაობის მოძმეობის მონაწილეთა საერთაშორისო შეხვედრის მონაწილეებს

მხურვალედ მოგესალმებით ევროპის სოციალისტური ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა შეხვედრის მონაწილეებს, რომლებიც უყგოროდში შეიკრიბეთ.

თქვენი შეხვედრა ეძღვნება მსოფლიო მნიშვნელობის ღირსშესანიშნავ თარიღს — ვ. ი. ლენინის, ჩვენი ეპოქის უდიდესი რევოლუციონერისა და გამოჩენილი მოაზროვნის, მსოფლიოში პირველი ძლევამოსილი სოციალისტური რევოლუციის ხელმძღვანელის, საბჭოთა სახელმწიფოს დამაარსებლის დაბადების 100 წლისთავის იუბილეს. ვ. ი. ლენინი აწერს ხელს ისტორიულ დოკუმენტს — პირველ ზავის დეკრეტს, რომელმაც გამოაცხადა დედამიწის ყველა ხალხის თანასწორობის, მშვიდობისა და მეგობრობის პოლიტიკა.

ჩვენს დროში იმპერიალისტური აგრესიის წინააღმდეგ ყველაზე თანმიმდევრული მებრძოლები, ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობის მგზნებარე დამცველები კომუნისტური და მუშათა პარტიები არიან. ამან მკაფიო გამოხატულება პოვა კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის 1969 წლის ივნისის საერთაშორისო თათბირზე, რომელმაც სხვა უმნიშვნელოვანეს პოლიტიკურ დოკუმენტებთან ერთად მიიღო „მოწოდება მშვიდობის დასაცავად“.

თანამედროვე რთულ საერთაშორისო ვითარებაში, როცა იმპერიალისტური რეაქციის ძალები ცდილობენ ჩაახშონ ხალხთა მისწრაფება თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისადმი და გააჩაღონ ახალი ომი, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების საიმედო ბურჯია სოციალისტური ქვეყნების დიადი თანამეგობრობა. ამ თანამეგობრობის განმტკიცებაში ღირსეული წვლილი შეაქვთ სოციალისტური ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციებს, რომლებიც ახლა ნამდვილ მასობრივ, საერთო სახალხო მოძრაობებად გადაიქცა.

ჩვენ დიდად ვაფასებთ დიდ, ნაყოფიერ მუშაობას, რომელიც ევროპის სოციალისტური ქვეყნების მშვიდობის მომხრეთა ორგანიზაციები ეწევიან ევროპის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ინტერესებისათვის, რაც დიდმნიშვნელოვანი გარანტიაა ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების მიღწევისათვის ბრძოლაში.

დიდი ლენინის ანდერძის ერთგული საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია და საბჭოთა ხალხი ყველაფერს იღონებენ იმისათვის, რომ განამტკიცონ სოციალისტური თანამეგობრობა, იბრძოლონ იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, მშვიდობისა და საერთაშორისო უშიშროებისათვის.

ნება მიბოძეთ გამოვთქვა რწმენა, რომ ევროპის სოციალისტური ქვეყნების მშვიდობისათვის მებრძოლთა შეხვედრა ხელს შეუწყობს ხალხთა მშვიდობისა და მეგობრობისათვის ყველა მებრძოლის აქტიური მოქმედების გაძლიერებისა და შეკავშირების საქმეს.

ვუსურვებ ინტერნაციონალური ძმური შეხვედრის მონაწილეებს შემდგომ წარმატებებს კეთილშობილურ საქმიანობაში მშვიდობისმოყვარე ძალების რიგების შეკავშირებისათვის, ბრძოლაში ხალხთა საყოველთაო მშვიდობისა და უშიშროების მიღწევისათვის.

ლ. ბრეჟნევი,

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი.

მოსკოვს ჩამოვიდა ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი

7 ოქტომბერს მოსკოვში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა და საბჭოთა მთავრობის მოწვევით სახელმწიფო ვიზიტად ჩამოვიდა ტანზანიის გაერთიანებული რესპუბლიკის პრეზიდენტი ჯულიუს კამბარაჯე ნიერერე.

ტანზანიისა და საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ალმებით მორთულ ვნუკოვოს აეროდრომზე სპეციალურ სტუმარს შეხვდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ნ. ვ. პოდგორნი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ა. ნ. კოსიგინი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე კ. ტ. მაზუროვი და სხვა ოფიციალური პირნი. (საკდისი).

მოგზაურობენ სსრ კავშირში

დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტისა და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების დელეგაცია საზოგადოების გამგეობის თავმჯდომარის დოქტორ ლოტარ ბოლცის მეთაურობით, რომელიც საბჭოთა კავშირში იმყოფება, 7 ოქტომბერს მოსკოვიდან წავიდა საბჭოთა კავშირში სამოგზაუროდ. სტუმრები ეწვევიან ლენინგრადს, ნოვოსიბირსკს, თბილისსა და ტაშკენტს. ისინი მონაწილეობას მიიღებენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოებსა და კრებებში. (საკდისი).

საბჭოთა პროფკავშირების სტუმრები

საკავშირო პროფსაბჭოს მოწვევით საბჭოთა კავშირში იმყოფება ეკვადორის შრომელთა კონფედერაციის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს მისი მდივანი ვაშინგტონ რობალინო.

დელეგაციის წევრები შეხვდნენ და ესაუბრნენ საკავშირო პროფსაბჭოს მდივანს ა. პ. ბირიუკოვს, დარგობრივ პროფკავშირთა ცენტრალურ კომიტეტთა ხელმძღვანელებს. გარდა მოსკოვისა, სტუმრები ეწვევიან ლენინგრადსა და თბილისს, სადაც შეხვდებიან მუშებსა და პროფკავშირულ აქტივისტებს.

(საკდისი).

საკდესის ცნობა

1969 წლის 6 ოქტომბერს საბჭოთა კავშირში გაუშვეს დედამიწის მეტეოროლოგიური თანამგზავრი „მეტეორი“. თანამგზავრის გაშვების ძირითადი მიზანია უზრუნველყოს მეტეოროლოგიური ინფორმაციის მიღება, რომელიც საჭიროა ამინდის ოპერატიულ სამსახურში გამოყენებისათვის.

თანამგზავრზე დადგმული აპარატურა ნორმალურად მუშაობს. საკოორდინაციო-გამოთვლითი ცენტრი ამუშავებს მიღებულ ინფორმაციას. მეტეოროლოგიურ ინფორმაციას იღებენ სსრ კავშირის ჰიდრომეტცენტრში დასამუშავებლად და გამოსაყენებლად.

300.000 ტონა ყურძნისათვის!

საქართველოს ზვრებში

საქართველოს ზვრებში რთველი მთელი ძალით გაჩაღდა. უამინდობის მიუხედავად, ყურძენს შეუფერხებლად კრეფენ, ღვინის ქარხნები ყოველდღე ათასობით ტონა ყურძენს იღებენ და ამუშავებენ.

სიღნაღი რაიონის მევენახეებმა "ყურძნის დამზადების გეგმაც და ვალდებულებაც წარმატებით გაანაღდეს, ნაცვლად 16.605 ტონისა დამზადებულია 19.000 ტონამდე ყურძენი. თავი გამოიჩინეს ხირსის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი გ. ჯანგულაშვილი), ბოდბისხევის ტაილნის სახელობის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე გ. გელაშვილი), ტიბაანის (თავმჯდომარე ა. დოლმაზაშვილი), ძველი ანაგის (თავმჯდომარე ს. ბეგიაშვილი), ტიბაანის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი ა. ბიძინაშვილი) და სხვა საზოგადოებრივმა მეურნეობებმა. რთველი გრძელდება.

გურჯაანი მევენახეთა დიდი გარჯის ნაყოფი დაფასდა. რთველი წარმატებით მიმდინარეობს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 48.150 ტონისა რაიონში დამზადებულია 39.164 ტონა ყურძენი. წარმატებას აღწევენ ველისციხის კოლმეურნეობის (თავმჯდომარე სოციალისტური შრომის გმირი დ. მამისაშვილი), კარდანახის საბჭოთა მეურნეობის (დირექტორი თ. სეხნიაშვილი) მევენახეები.

თელავი თელაველებმა წელს 32.995 ტონა ყურძენი უნდა მისცენ სამშობლოს. ჯერჯერობით სახელმწიფო მარნებში გადამუშავებულია 27.264 ტონა ყურძენი. ყურძნის დამზადების გეგმები რაიონში პირველებმა შეასრულეს ჭუღაანის, ართანისა და სანიორის კოლმეურნეობებმა.

ყვარელი რაიონის მევენახეებს წელს უამინდობამ და სტიქიურმა მოვლენებმა ხელი შეუშალა კვლავინდებურად დიდი გადამეტებით შეესრულებინათ ყურძნის დამზადების გეგმები. მიუხედავად სტიქიური მოვლენებისა, ყვარელელები გულგაუტეხავად შრომობდნენ ზვრებში, სტიქიას გამოსტაცეს მოსავალი. რთველი აქ წარმატებით მიმდინარეობს, უდანაკარგოდ კრეფენ გადარჩენილ მოსავალს. ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 17.400 ტონისა დამზადებულია 9.513 ტონა ყურძენი. რთველი გრძელდება.

ახმეტა ახმეტელებმა ბოლო წლებში დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს მევენახეობაში. შარშანდელივით წელსაც რთველი წარმატებით მიმდინარეობს. ნაცვლად 12.750 ტონისა ჯერჯერობით მოკრეფილია 5 ათას ტონამდე ყურძენი.

უამინდობის მიუხედავად, საქართველოს ზვრებში რთველი წარმატებით გრძელდება.

კარტოფილი უდანაკარგოდ

კარტოფილის მოსავლის აღებას მასობრივად შეუდგნენ რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ამ მხრივ კარგ შედეგებს აღწევს ახალციხის მეხილეობა-ბოსტნეობის საბჭოთა მეურნეობა. აქ ყოველდღე უხვად იღებენ მაღალხარისხოვან კარტოფილს.

• • •

სურათზე: ბრიგადირი ზ. სარქისიანი (მარჯვნივ) და მუშები ე. ღაზარიანი და ს. აკოფიანი მუშაობის დროს.

ფოტო ვ. ჩერკასოვისა.

მათ ისახელეს თავი

ᲕᲬᲘᲜᲘᲣᲠᲘ შრომითი ვახტი. საქართველოს სამრეწველო საწარმოებში ათასობით ადამიანია ჩაბმული ბელადის საიუბილეო შეჯიბრების ამ ფერხულში. უმეტესობა კომუნისტური შრომის შესანიშნავ მაგალითს ვვიჩვენებს. მათ შორის არიან ეს მოწინავე მუშები, რომლებსაც სურათებზე ხედავთ.

ნ. ჯოხაძე (ზემოთ) მერვე წელია გორის საკონსერვო კომბინატში ბრიგადას ხელმძღვანელობს. მისი კოლექტივი კომუნისტური შრომის ბრიგადის სამატიო სახელს მოპოვებისათვის იბრძვის.

თბილისის კირთვის სახელობის ჩარხსამშენებლო ქარხნის ხარატმა ზ. სარალიძემ (ქვემოთ) უკვე მოიპოვა ეს წოდება. ამასთან იგი „სოციალისტური შეჯიბრების წარჩინებულიც“ გახდა.

ფოტო ვ. ᲒᲔᲜᲒᲘᲣᲠᲘᲡᲐ და ს. ᲙᲘᲚᲐᲫᲘᲡᲐ.

საბჭოთა კაცრების სწავლება

6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ უმაღლეს პარტიულ სკოლაში დაწყო ხელმძღვანელი პარტიული რესპუბლიკების უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების მდივნები, მშრომელთა დეპუტატების სამხარეო, საოლქო აღმასკომების მდივნები, მოკავშირე რესპუბლიკათა უმაღლესი საბჭოების პრეზიდიუმების იურიდიულ განყოფილებათა გამგეები.

კურსები გახსნა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საბჭოების მუშაობის საკითხთა განყოფილების გამგემ პ. ფ. პიგალოვმა.

ლექცია „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიული გამოცდილება და მისი მნიშვნელობა კომუნიზმის მშენებლობისათვის“ საბჭოთა ხალხის ბრძოლაში „წაიკითხა აკადემიკოსმა ბ. ნ. პოსპელოვმა. საბჭოების შეხსენებ ლენინურ მოძღვრებასა და სახელმწიფო მშენებლობის პრაქტიკაში მის განხორციელებას მიუძღვნა თავისი გამოსვლა კურსებზე პროფესორმა ა. ი. ლებედევმა.

კურსების მსმენელები სწავლების ერთი თვის მანძილზე მოისმენენ ლექციებსა და მოხსენებებს საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ისტორიისა და პოლიტიკის, მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიისა და მეცნიერული კომუნიზმის, პოლიტიკური ეკონომიის, საბჭოთა მშენებლობის აქტუალურ პრობლემებზე. ერთმანეთს გაუზიარებენ მუშაობის გამოცდილებას.

ამასთანავე დაიწყო პარტიული და საბჭოთა კადრების საოლქთაშორისო, რესპუბლიკური და საერესპუბლიკათაშორისო კურსების მორიგი ნაკადების მეცადინეობა.

ᲒᲝᲢᲐᲜᲘᲙᲝᲡᲗᲐ ᲡᲠᲣᲚᲘᲐᲓ ᲡᲐᲙᲐᲕᲨᲘᲠᲝ ᲧᲠᲘᲚᲝᲒᲐ

ᲓᲦᲔᲡ თბილისში გაიხსნა სრულიად საკავშირო ბოტანიკოსთა საზოგადოების მე-4 ყრილობა. ყრილობა მოაწყვეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სრულიად საკავშირო ბოტანიკოსთა საზოგადოებამ და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საქართველოს ბოტანიკოსთა საზოგადოებამ.

500-ზე მეტი მეცნიერი შეიკრიბა, რომ განიხილონ საბჭოთა კავშირში ბოტანიკის მეცნიერების აქტუალური პრობლემები. ისინი თავიანთი კვლევის შედეგებს მოახსენებენ სამი სექციის — მცენარეთა სისტემატიკის, გეოგრაფიისა და მორფოლოგიის, გეობოტანიკისა და ბოტანიკური ბაღების, მცენარეთა ფიზიოლოგიისა და გენეტიკის სექციათა სხდომებს.

ყრილობა გახსნა სრულიად საკავშირო ბოტანიკოსთა საზოგადოების თავმჯდომარემ აკადემიკოსმა ე. ლავრენკომ.

აირჩიეს ყრილობის საპატიო პრეზიდიუმი სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს შემადგენლობით.

პირველი მოხსენება გააკეთა აკადემიკოსმა ე. ლავრენკომ. მისი მოხსენება მიეძღვნა სსრ კავშირში ბოტანიკის მეცნიერების მდგომარეობასა და განვითარების პერსპექტივებს. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ნ. კეცხოველმა ილაპარაკა იმაზე, თუ როგორ განვითარდა ბოტანიკა საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების წლებში. 1969 წელს ამერიკის შეერთებულ შტატებში გამართულ ბოტანიკოსთა საერთაშორისო კონგრესის მუშაობასა და გადაწყვეტილებებზე მოხსენება გააკეთა ბიოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა ბ. იუსეფემ. სომხეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრკორესპონდენტმა ა. ტახტაჯიანმა თავისი გამოსვლა მიუძღვნა ბიოსისტემატიკის ამოცანებს.

საქდესის კორესპონდენტის თხოვნით აკადემიკოსმა ე. ლავრენკომ თქვა:

— მორიგი, ფილეტატთა მე-4 ყრილობა შეიკრიბა იმისათვის, რომ შეაჯამოს უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში ბოტანიკის მეცნიერების განვითარების შედეგები. გარდა ამისა, კრების ერთ-ერთი ამოცანაა სრულიად საკავშირო ბოტანიკოსთა საზოგადოების ახალი ხელმძღვანელობის არჩევნები.

საქართველო ყრილობის მუშაობის -ადგილად იმიტომ აკირჩიეთ, რომ აქ უკვე მთელი რიგი წლების მანძილზე ბოტანიკის მეცნიერება უაღრესად ინტენსიურად და მრავალფეროვნად ვითარდება. თბილისი ბოტანიკის განვითარების ერთ-ერთი ყველაზე დიდი ცენტრია საბჭოთა კავშირში.

ბოტანიკის მეცნიერების განვითარებისა და ამჟამად მისი მდგომარეობის საკითხების, აგრეთვე ახლო მომავალში მისი განვითარების პერსპექტივების განხილვის დროს, ძალიან დიდ როლს შეასრულებს მეცნარეთა და მეცენარეული საფარის ისეთი უმნიშვნელოვანესი ფაქტორის შესწავლა, რომელიც განსაზღვრავს დედამიწაზე ადამიანის არსებობის პირობებს. ამ პრობლემის შესწავლას ამჟამად განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. საქმე ის არის, რომ ადამიანი თავისი საწარმოო საქმიანობით ძლიერ გავლენას ახდენს ბიოსფეროზე, აღლვევს ბიოსფეროს ცალკეული კომპონენტებისა და საერთო სისტემის ნორმალურ თანაფარდობას.

საერთაშორისო ბიოლოგიური პროგრამის შესაბამისად, რომლის მიხედვითაც მთელ მსოფლიოში დიდი მუშაობა წარმოებს და ძალიან ბევრი რამ კეთდება ჩვენს ქვეყანაშიც, განხორციელდება ბიოსფეროს, როგორც ადამიანის ცხოვრების პირობის, კვლევის კიდევ უფრო ფართო ციკლი.

ყრილობის მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ვ. სირაძე და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პასუხისმგებელი მუშაკი ლ. ანდრეევი.

ბოტანიკოსთა ყრილობა ხუთ დღეს გასტანს. (საქდესი).

ᲚᲔᲜᲘᲜᲣᲠᲘ ᲘᲓᲔᲔᲑᲘᲡ ᲫᲚᲔᲕᲐᲛᲝᲡᲘᲚᲘ ᲡᲕᲚᲐ

ᲐᲚᲛᲐ-ᲐᲗᲐ, 6 ოქტომბერი. (საკდეს-ყაზახეთის კორ.). ყაზახეთის დედაქალაქში გრძელდება საერთაშორისო სიმპოზიუმი თემაზე სსრ. სახალხო განათლების მინისტრმა ბ. პალეაზოვამ, დუშანბეს პედაგოგიური ინსტიტუტის კათედრის გამგემ ნ. გაფაროვამ ხაზი გაუსვეს, რომ სოციალისტური გზა დაეხმარა საბჭოთა აღმოსავლეთის ხალხებს ისტორიულად მოკლე დროში მიეღწიათ ეროვნული სახელმწიფოებრიობისათვის. მისი შექმნის ანალიზი იძლევა პასუხს გვითარებად სახელმწიფოებში სოციალური პროგრესის განხორციელების ბევრ საკითხზე.

ეროვნული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში ჩვენს ხალხს დიდად უჭერდნენ მხარს სოციალიზმის ქვეყნები. და ახლა თვითონ უჭერს მხარს ვიეტნამელ. და სხვა ხალხებს იმპერიალისტების მოგერიების სამართლიან საქმეში, თქვა ალჟირის წარმომადგენელმა აჩია-აფრიკის ხალხთა სოლიდარობის ორგანიზაციის მუდმივ სამდივნოში აბდელ აზიზ ბენ მეშრიმ. დიდი ლენინის მოძღვრება, რომელსაც შემოქმედებითად ვახორციელებთ. განაცხადა მან, ეხმარება ერებს თავისუფლებისა და სოციალიზმისათვის ბრძოლაში.

სიერა ლეონეს ელჩმა სსრ კავშირში ამბროზ პ. გენდამ თქვა, თუ რა სიძნელეებს განიცდის ამ სახელმწიფოთა ეკონომიკა, რომლებმაც დამოუკიდებლობა მოიპოვეს. მან ხაზი გაუსვა, რომ საჭიროა უფრო აქტიური ბრძოლა აფრიკის ერთობისათვის.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის აფრიკის ინსტიტუტის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ნ. დ. კოსუხინმა, სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტის სომხეთის ფილიალის უფროსმა მეცნიერმა თანამშრომელმა ა. მ. ეგიზარიანმა და სხვებმა გააშუქეს სოციალისტური ერების შემდგომი განვითარების საკითხები. სიმპოზიუმზე მნიშვნელოვანი ადგილი ეთმობა აგრეთვე წარმოების სახელმწიფო სექტორის ეკონომიური დაგეგმვისა და განმტკიცების საკითხებს.

ᲣᲚᲝᲪᲐᲕᲔᲜ ᲛᲝᲫᲛᲔ ᲮᲐᲚᲮᲡ

7 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ საქართველოს მშრომელებმა მთელ პროგრესულ კაცობრობასთან ერთად აღნიშნეს გერმანიის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფოს შექმნის 20 წლისთავი.

რუსთაველის სახელობის თეატრის მცირე დარბაზში გაიმართა საზოგადოებრიობის კრება, რომელიც მოაწყვეს საქართველოს კომპარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტმა, საქართველოს საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საზოგადოებამ და საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილებამ. კრება ამ ღირსშესანიშნავ წლისთავს მიეძღვნა.

კრება შესავალი სიტყვით გახსნა საქართველოს კომპარტიის თბილისის კომიტეტის მდივანმა შ. ყარყარაშვილმა. მონაწილენი ტაშით მიესალმნენ კრების დამსწრე გერმანელ სტუმრებს.

ისტორიული თარიღი გულწრფელად მიულოცეს და შემდგომი აყვავება და მშვიდობიანი ცხოვრება უსურვეს გერმანელ ხალხს საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების თავმჯდომარემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსმა ვ. კუბრაძემ, თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის ზეინკალმა, სოციალისტური შრომის გმირმა შ. ფირცხალავამ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დოცენტმა ო. ჯინორიამ, საქართველოს სსრ კულტურის მინისტრმა ო. თაქთაქიშვილმა და სხვ.

კრებაზე გამოვიდა გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოებისა და დემოკრატიული გერმანიის ეროვნული ფრონტის დელეგაციის მეთაური ზიგფრიდ უნფერიხი.

კრების მონაწილეებმა მისახალმებელი დეპეშა გაუგზავნეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოსკოვის საელჩოს და გერმანია-საბჭოთა კავშირის მეგობრობის საზოგადოების ცენტრალურ გამგეობას ბერლინში.

კრებას დაესწრნენ ამხანაგები გ. ჩოგოვაძე და შ. კიკნაძე. (საქდესი).

ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘᲡ ᲐᲦᲜᲘᲨᲜᲐᲕᲔᲓ

შეხვედრა „ივერიაში“

6 ᲝᲥᲢᲝᲛᲑᲔᲠᲡ სრულიად საკავშირო საავტორო საზოგადოების „ინტურისტის“ თბილისის განყოფილებაში გერმანელი სტუმრების პატივსაცემად გაიმართა დარბაზობა, რომელიც მიეძღვნა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავის დღესასწაულს.

...სასტუმრო „ივერიის“ ერთ-ერთი დარბაზი მორთულია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, საბჭოთა კავშირისა და საქართველოს სსრ სახელმწიფო ალმებით. აქ შეიკრიბნენ ინტურისტის, საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების გამგეობის პრეზიდიუმის თავმჯდომარის მოადგილემ გ. ტატიშვილმა, საბჭოთა კავშირ-გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის საზოგადოების საქართველოს განყოფილების გამგეობის თავმჯდომარის მოადგილემ პროფესორმა ნ. კაკაბაძემ.

სამასწავლო სიტყვაში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ტურისტთა ჯგუფის ხელმძღვანელმა რიხარდ რიტდორფმა სტუმრების სახელით მადლობა გადაიხადა გულთბილი მიღებისათვის, რწმენა გამოთქვა, რომ ასეთი შეხვედრები კიდევ უფრო განამტკიცებს საბჭოთა და გერმანელი ხალხების მეგობრობას. (საქდესი).

პარტიული ცხოვრება

კარტჯგუფორგის ტრიბუნა

იმ მიზნით, რომ უფრო საინტერესოდ და შინაარსიანად გაშუქდეს პარტიული ჯგუფების — ამ პატარა, მაგრამ ადამიანებთან ყველაზე ახლო მყოფი კომუნისტთა კოლექტივების — მრავალმხრივი საქმიანობა, გაზეთმა „კომუნისტმა" თავის ფურცლებზე შემოიღო სპეციალური რუბრიკა „პარტჯგუფორგის ტრიბუნა".

სწორედ ამ რუბრიკით ჩვენი გაზეთის მიმდინარე წლის 25 სექტემბრის ნომერში გამოქვეყნდა რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პირველი ცვლის პარტჯგუფორგის დ. ბარათაშვილის წერილი „ცხოვრების შუაგულში". დღეს ვაქვეყნებთ ხაშურის რაიონის სოფელ ხციისის კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელის ვ. ბურნაძის წერილს, თუ პირველ წერილში მოთხრობილი იყო მეტალურგი კომუნისტების, მათი ერთი პატარა კოლექტივის საქმიანობაზე, მეორე წერილით პარტჯგუფორგი ვ. ბურნაძე გვესაუბრება კოლმეურნე კომუნისტების ერთი ჯგუფის ცხოვრებაზე, მის გამოცდილებაზე და სიძნელეებზე.

რედაქცია კვლავ თხოვნით მიმართავს ყველა პარტიული ჯგუფის ხელმძღვანელს ფართოდ გამოეხმაურონ ამ წერილებში აღძრულ საკითხებს, ეოგვწერონ პარტჯგუფების შუშაობის პრაქტიკაზე, საკუთარ გამოცდილებაზე, გაგიდულად გამოთქვან თავიანთი აზრი და წამოაყენონ წინადადებანი, რომლებიც ხელს შეუწყობენ პარტიული ჯგუფების მოღვაწეობის შემდგომ გაკეთილშობილებას და გაუჯობესებას.

უფრო ახლოს ადამიანებთან

ჩვენს ჟურნალ-გაზეთებს თავიანთ მკითხველებთან ყოველდღიურად უამრავი ახალი ამბები მიაქვთ. დიდია არჩევანი. არ არის დარჩენილი სამინდო თემა, საგარეო ცხოვრების არცერთი მხარე, რაზეც ყურადღება არ ამახვილებდეს საბჭოთა პრესა.

მაგრამ ჩვენ, ხაშურის რაიონის სოფელ ხციისის კოლმეურნეობის პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელებს, და ალბათ რესპუბლიკის სხვა პარტიული ჯგუფების ხელმძღვანელებსაც, გვაქვს ერთი სერიოზული სასაყვედურო. ჟერჟერობით მაინც ცოტა იწერება პარტჯგუფების — ამ მეტად მრავალრიცხოვანი, კომუნისტთა ყველაზე ძირეული მებრძოლი კოლექტივების მჩქეფარე ცხოვრებაზე, მათი მოღვაწეობის აკვარეზე. ხშირად ვერ გპოულობთ საქმიანობის ღრმა ანალიზს. ამაზე პარტიული ჯგუფის ერთ-ერთ კრებაზეც გვქონდა ლაპარაკი.

და აი დიდი კმაყოფილებით გავეცანით რუსთავის მეტალურგიული ქარხნის მარტენის საამქროს პირველი ცვლის პარტჯგუფორგის დ. ბარათაშვილის წერილი „ცხოვრების შუაგულში", რომელიც გაზეთმა „კომუნისტმა" ამ რამდენიმე კვირეულ საყურადღებო საკითხია აღძრული, ამასთან მასში მოცემულია კარგი გამოცდილება მუშაკომუნისტთა ერთი პატარა კოლექტივისა, რომლიდანაც შეიძლება ბევრი რამ გადმოვიღოთ, ჩვენს შუმაობაშიც გავითვალისწინოთ. თვითეულ პარტიულ ჯგუფს ხომ აქვს ბრძოლის, მოქმედების კონკრეტული მიზანი, რომელიც ჩვენი საერთო ამოცანებიდან გამომდინარეობს. ამ კონკრეტულობის კი განსაზღვრავს თუნდაც ის სპეციფიკა, რაც ახასიათებს სამრეწველო საწარმოსა თუ კოლმეურნეობაში მოქმედ პარტიულ ჯგუფებს. ამიტომ მსურს მკითხველებს ამ წერილში მოვუთხრო სწორედ კოლმეურნეობაში შექმნილი ერთ-ერთი პარტიული ჯგუფის საქმიანობაზე.

მესამე წელია კოლმეურნეობის მეცხოველეობის ფერმის პარტჯგუფორგად ემუშაობ. ჯგუფში სულ ექვსი კომუნისტი ვართ, მაგრამ ჩვენი პატარა, ოცამდი უკრედი ცოტა რამეს როდი აკეთებს.

ფერმაში კომუნისტებს გარდა ოცდაათამდე უპარტიოა, პარტჯგუფის წევრები ცდილობენ ყოველთვის მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ უპარტიოებთან, ყურად იღებენ მათს წინადადებებსა და შენიშვნებს, სხვადასხვა ფორმითა და მეთოდით ცდილობენ ზეგავლენა მოახდინონ მეცხოველეებზე. ამის შედეგად უმჯობესდება ფერმის მუშაკთა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები, იზრდება საწარმოო მაჩვენებლები.

ფერმა ერთ დროს მეტად კეთილმოუწყობელი იყო, არ გვქონდა ნორმალური მუშაობისა და დასვენების პირობები, წველადობითაც ვერ დავიკვეხნიდით. ამის შესახებ სპეციალურად იმსჯელა პარტიულმა ჯგუფმა, რომელმაც დასახა მოქმედების კონკრეტული გეგმა. გადავაწყვეთ ძალები, გავაძლიერეთ მუშაკთა პასუხისმგებლობა, განვახორციელეთ მთელი რიგი ღონისძიებანი, რაშიაც კოლმეურნეობის გამგეობა და პარტბიურო დაგვეხმარა.

ამის შემდეგ დიდ ხანს არ გასულა, რომ ფერმის ცხოვრებაში, სადაც ჩვენი პარტჯგუფი მოღვაწეობს, მნიშვნელოვანი გარდატეხა მოხდა. გაუმჯობესდა ფერმის სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობა, მეცხოველეთა საწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობები, შესამჩნევად ამაღლდა წველადობა. თუ გასული წლის 9 თვეში სამუალოდ ერთ ძროხაზე 702 კილოგრამამდე რძე მივიღეთ, მიმდინარე წლის შესაბამის პერიოდში 64 კილოგრამით მეტი ჩამოგწველეთ. საერთოდ ფერმამ კი წელს ცხრა თვის მანძილზე 275 ცენტნერით ამაზე მეტი რძე მიიღო, ვიდრე შარშან შესაბამის პერიოდში.

ეს ჩვენი მრავალმხრივი მოღვაწეობის მხოლოდ ერთი მაგალითია, რადგან ყველა მათგანის ჩამოთვლა ზორს წაგვიყვანს.

ახლა მინდა მოგახსენოთ ჩემი მოსაზრებანი დ. ბარათაშვილის წერილში აღძრულ ზოგიერთ საკითხზე. ჩემი აზრით, აუცილებელი არ არის პარტჯგუფს ჰქონდეს სამუშაო გეგმა. საკმარისია გეგმის მაგიერად იწერებოდეს დღიური, რომელშიც პარტჯგუფორგი გააკეთებს ჩანაწერებს როგორც პირველადი პარტორგანიზაციის, ისე პარტჯგუფის კრებებზე, აგრეთვე ყოველდღიური ცხოვრების კარნახით. მაგრამ, როცა მომწიფდება პარტჯგუფის კრების მოწყობის აუცილებლობა, მაშინ მიზანშეწონილად მიმაჩნია საერთო ჩანაწერებიდან დღიურის ერთ ფურცელზე ჩამოყალიბდეს გეგმისმაგვარი მონახაზი, რომლითაც პარტჯგუფორგი იხელმძღვანელებს კრებაზე.

ასეთი ჩანაწერი მოგვცემს ოპერატიულობის შესაძლებლობას და დავალების სწორად განაწილების საშუალებას, გაძლიერებს მესრულების კონტროლს.

სწორედ ასე მოვიქეცი, როცა განვიხილეთ ფერმის კეთილმოწყობის, მომსახურე პერსონალის პირობებისა და წველადობის საკითხი, რაზეც ზემოთ მოგახსენეთ.

ეთანხმები დ. ბარათაშვილს იმ საკითხშიც, რომ პარტიულ ჯგუფს ნაყოფიერი შუშობის გაწევა შეუძლია სკკპ რიგებში მისაღები ახალგაზრდების შერჩევისა და აღზრდის საქმეში. ამასთან ისიც კითხვა: რაკი ჩვენ ყველაზე ახლოს ვართ და უკეთ ვიცნობთ ადამიანებს, უჭირობენ ხომ არ იქნება თვითონ შევარჩიოთ პარტიაში მისაღები კანდიდატურები, შემდეგ კი ვიკისროთ მათი მოამზადება? პირველადმა პარტორგანიზაციამ კი პარტიაში მიღების დროს მუდამ უნდა გაითვალისწინოს პარტჯგუფორგის აზრი.

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐ

დეპუტატი და ამომრჩეველი

ᲮᲐᲨᲣᲠᲘᲡ ᲠᲐᲘᲝᲜᲘᲡ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲮᲪᲘᲡᲘᲡ ᲛᲔᲪᲮᲝᲕᲔᲚᲔᲝᲑᲘᲡ ᲤᲔᲠᲛᲘᲡ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲬᲐᲛᲧᲕᲐᲜᲘ ᲥᲐᲚᲐ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲠᲔᲠᲘᲝᲜᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲙᲣᲚᲢᲣᲠᲣᲚ-ᲙᲐᲪᲝᲑᲠᲘᲕᲘ ᲪᲮᲝᲠᲕᲔᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲕᲔᲚᲘ ᲬᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲓᲐᲛᲧᲐᲠᲔᲑᲣᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲣᲚᲘ ᲯᲒᲣᲤᲘᲡ ᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲘᲡ ᲕᲐᲮᲢᲐᲜᲒ ᲒᲐᲠᲓᲐᲛᲐᲕᲐᲚᲘ ᲬᲘᲒᲜᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲛᲬᲔᲠᲚᲝ ᲞᲠᲝᲤᲘᲚᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡ ᲞᲘᲠᲝᲑᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲠᲐ ᲓᲐᲜᲘᲨᲜᲣᲚᲘ ᲐᲠᲘᲡ ᲛᲘᲡᲘ ᲒᲐᲣᲛᲯᲝᲑᲔᲡᲔᲑᲐᲨᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲮᲕᲐ ᲠᲔᲡᲞᲣᲑᲚᲘᲙᲐᲨᲘ

საქართველოს სსრ

მეგობრობა და სოლიდარობა

ბერლინი, 7 ოქტომბერი. (საკუთარი). როგორც ადნის სააგენტო იუწყება, გუშინ ბერლინში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავისადმი მიძღვნილ საზეიმო სხდომაზე გამოსვლისას პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ვლადისლავ გომულკამ თავის მისასალმებელ სიტყვაში განაცხადა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის შექმნით ახალი ეტაპი დაიწყო გერმანია-პოლონეთის ურთიერთობაში „სახალხო პოლონეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საერთო სოციალურმა საფუძველმა, ორივე ქვეყნის სულმძღვანელი ძალების — პოლონეთის გაერთიანებული მუშათა პარტიისა და გერმანიის ერთიანი სოციალისტური პარტიის საერთო მიზნებმა და მისწრაფებებმა, მარქსიზმ-ლენინიზმის საერთო იდეოლოგიამ, რომელიც ჩვენთვის განსაზღვრულია, ჩვენმა თავდაცვითმა კავშირმა საბჭოთა კავშირთან და სხვა სოციალისტურ სახელმწიფოებთან ყარშაკის სულმეკრულების ფარგლებში და მრავალი წლის თანამშრომლობამ ყველა დარგში ჩვენს ხალხებს ჩაუნერგეს საერთო ინტერესებისა და ურთიერთნდობის გრძნობა. პოლონეთ-გერმანიის ოდერ-ნოისის საზღვარი გადაქცეულა მტკიცე მშვიდობისა და მეგობრობის საზღვრად“, — თქვა ვ. გომულკამ.

ვ. გომულკამ განაცხადა, რომ ეს მჭიდრო და მეგობრული ურთიერთობა პროლეტარული ინტერნაციონალიზმის ძალისა და სიცოცხლეზე გამოსახატულებაა.

„ჩვენ მიგვაჩნია, — განაგრძო ვ. გომულკამ, — დადგა დრო იმისათვის, რომ ფედერაციული რესპუბლიკის ოფიციალურმა წარგზამ ცნონ არსებული რეალობა. ეს ხელიდან გამოცელის იარაღი დემაგოგიებს, რომლებიც თავიანთი რევანშისტული პრეტენზიებით საეჭვოს ხდიან ევროპაში არსებულ საზღვრებს, უარყოფენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობას და ჩვენლობენ მთელი გერმანული ერის წარმომადგენლობას, რითაც ნაზღვევენ ევროპაში ურთიერთობის ატმოსფეროს“.

ვ. გომულკამ ხაზი გაუსვა, რომ ყველა ბერმა, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ჩამოაშორონ მის ბუნებრივ მოკავშირეებს — სოციალისტურ ქვეყნებს, ჩაიფუშება. „ვარდგათა ფეოდალიზმის მონაწილე ქვეყნების მოქმედების ერთობასა და მჭიდრო ძმურ თანამშრომლობას თვალისჩინებოვნად გავუფრთხილდებით“, — განაცხადა მან.

იუბილეს გამო ჩეხოსლოვაკიის მშრომელთა სახელით გუსტაფ ჰუსაკმა. მან მაღალი შეფასება მისცა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში მომხდარ ღრმა სოციალისტურ გარდაქმნებს და ხაზი გაუსვა მათს დიდ საერთაშორისო მნიშვნელობას.

ალნინშა რა ჰიტლერიზმის განადგურების ისტორიული მნიშვნელობა, ჩეხოსლოვაკიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ალექსანდრ დუბჩეკმა ხაზი გაუსვა, თუ რა გადამწყვეტი როლი შეასრულა საბჭოთა კავშირმა ფაშისტური დამონების საფრთხისაგან ხალხთა განთავისუფლების საქმეში.

მეორე მსოფლიო ომის შემდეგ სოციალისტური ბანაკის შექმნა, რომელსაც განეკუთვნებიან აგრეთვე ჩეხოსლოვაკია და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, განაგრძო მან, მნიშვნელოვან ეფექტი ეფუნა და განმსაზღვრელი ფაქტორი ევროპასა და მთელ მსოფლიოში ძალთა თანაფარდობისა და მდგომარეობის განვითარებისათვის.

შეეხო რა ჩეხოსლოვაკიის სოციალისტურ რესპუბლიკაში მომხდარ ამბებს, გ. ჰუსაკმა აღნიშნა, რომ ეს ამბები კომუნისტებმა და მუშათა მოძრაობისათვის სერიოზული გაკვეთილია იმპერიალიზმის, მთელი ანტისოციალისტური და ოპორტუნისტული ძალების ძირგამომთხრელი საქმიანობის მიმართ.

„ოფელი გვაქვს, რომ ჩეხოსლოვაკიის მაგალითი, რომლიდანაც ახლა დასკვნებმა გამოაქვს მთელ ჩვენს პარტიას, მუშათა კლასსა და მშრომელ ხალხს, გაკვეთილი იქნება საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის სხვა რაზმებისთვისაც, თავიდან აიცილებს მათ ოპორტუნისტული და ნეგრილბერეკული იოუზიებს, იმპერიალისტთა იმ მცსწრაფებებთა შეუფაასებლობას, რომ ძირი გამოუთხარონ სოციალისტურ ბანაკსა და სოციალისტურ საზოგადოებას, თავს აიცილებს იმ ძირითადი პრინციპებისაგან მცირეოდენ გადახრას, რომლებიც მარქსმა და ენგელსმა ჩამოაყალიბეს, კიდევ უფრო განაკითარა ლენინმა და დაადასტურა საბჭოთა კავშირისა და სხვა სოციალისტური სახელმწიფოების არსებობის ათეულმა წლებმა“.

უნგრეთის სოციალისტური მუშათა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა იანოშ კადარმა თავის სიტყვაში აღნიშნა, რომ უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელები ყველა გერმანელ ამხანაგთან და მთელ პროგრესულ კაცობრიობასთან ერთად მხურვალე სოლიდარობის გრძნობით აღნიშნავენ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის 20 წლისთავს.

„სოციალიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის საოცრად სწრაფი განვითარების შედეგად, — განაცხადა ი. კადარმა, — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა გაუტოლდა მსოფლიოს მეთერთმეტე წარმოებულ ინდუსტრიულ სახელმწიფოებს“.

ი. კადარმა აღნიშნა, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ვარშავის ხელშეკრულებისა და ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს ძლიერი და ავტორიტეტიანი მონაწილეა. იგი დიდნაწილნელოვან როლს ასრულებს საერთაშორისო მუშათა მოძრაობის ერთობისათვის, მთელი ანტიიმპერიალისტური ძალების შეკავშირებისათვის, მშვიდობისა და პროგრესისათვის ბრძოლაში. უნგრეთი ამაყობს იმით, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მოკავშირეა, თქვა მან, და მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი კეთილგაც განაგრძოს ეს ერთობა, მეგობრობა და თანამშრომლობა.

ჩვენ საერთო მიზნებისათვის ვიბრძვით ჩვენს საერთო მეგობრთან, მოკავშირეთა და თანამებრძოლთან — დიდ საბჭოთა კავშირთან და ვარშავის ხელშეკრულების სხვა სახელმწიფოებთან ერთად, სოციალისტურ ქვეყნებთან, მსოფლიოს კომუნისტურ და მუშათა პარტიებთან ერთად, მთელ პროგრესულ ძალებთან ერთად, განაცხადა შემდეგ ი. კადარმა.

ი. კადარმა თქვა, რომ ევროპის ყველა ხალხის ინტერესებისათვის საჭიროა ალაბამინ ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე აღორძინებული მილიტარიზმი და რევანშიზმი, უზრუნველყონ ევროპის უშიშროება.

ტ. ჟივკოვმა ბულგარეთისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობას უწოდა ორი სოციალისტური ქვეყნის თანამშრომლობის მაგალითი, რომლებსაც მომავალ პარტიები ხელმძღვანელობენ და, რომლებიც ერთგულნი არიან მარქსის, ენგელსის, ლენინის მოძღვრებისა, გიორგი დიმიტროვისა და ერნსტ ტელმანის ანდერძისა.

ტ. ჟივკოვმა აღნიშნა, რომ ბულგარეთი დიდადაა დაინტერესებული ევროპაში მშვიდობის შენარჩუნებით და შემდეგ განაცხადა: ჩვენს კონტინენტზე დღეს მშვიდობის ყველაზე დიდ საფრთხეს უქმნიან დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმი, ფაშიზმის, ნეონაციზმისა და რევანშიზმის მზარდი ძალები, რომლებსაც არ სურთ ხელი აიღონ უკანონო პრეტენზიებზე — ასრულებდნენ გერმანელი ხალხის ერთადერთი წარმომადგენლის როლს. ამერიკის იმპერიალიზმთან მჭიდრო თანამშრომლობით ისინი ეშმადებიან აგრესიისა და რევანშისათვის. მტკიცე მშვიდობისა და უშიშრების დიდმნიშვნელოვანი პირობაა ევროპაში სახელმ-წფო საზღვრების ურღვევობის ცნობა, ორივე გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ცნობა.

ორატორმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ბულგარეთს თავისი წვლილი შეაქვს ევროპის კოლექტიური უშიშროების სისტემის შექმნაში, უშიშროების საკითხებზე სრულიად ევროპის თათბირის მოპაზიტანა და მოწვევაში. სხვა მოძმე პარტიებთან ერთად, თქვა მან, ბულგარეთის კომუნისტური პარტია თანამიმდევრულად იბრძოლებს კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საერთაშორისო თათბირის გადაწყვეტილებათა განხორციელებისათვის.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა ღელვანდელი დიდი ზეიმი, რომელიც გერმანიის ისტორიაში პირველი მუშურ-გლეხური სახელმწიფოს შექმნის სახელოვან ოცი წლისთავს ეძღვნება, მარქსიზმ-ლენინიზმის იდეების, ხალხთა მეგობრობისა და ძმობის იდეების, უძლეველობის მშვიდობისა და სოციალური პროგრესისათვის საერთო ბრძოლაში მათი საბრძოლო სოლიდარობის ახალი მაგალითი დემონსტრაციაა, თქვა თავის სიტყვაში მონღოლეთის სახალხო-რევოლუციური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა, მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ომუმეგიინ ცედენბალმა.

გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელიც მთელ გერმანელ ხალხს ნათელი მომავლის გზას უკვალავს, საიმედო ფორფოსტია სოციალიზმის დასაკვლეთ საზღვრებზე.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკა, განაცხადა ი ცედენბალმა, მტკიცედ უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშვიდობისმოყვარულ პოლიტიკას. რომლის მიზანია გერმანიის დაიცვას გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელთა მიღწევები, მოაწესრიგოს ურთიერთობა ორ გერმანულ სახელმწიფოს შორის, აგრეთვე ის. რომ ჩაფუშოს დასავლეთ გერმანიის მილიტარისტული წრეებისა და მთელი იმპერიალისტური რეაქციის ძირგამომთხრელი საქმიანობა.

მონღოლეთის სახალხო რესპუბლიკის მშრომელებს ზტკიცედ სწამთ, რომ მათი საბრძოლო კავშირი და ერთიანობა ოქტომბრის სამშობლოსთან — საბჭოთა კავშირთან, ლენინის დიად პარტიასთან, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან, სხვა სოციალისტურ ქვეყნებთან და მოძმე მარქსისტულ-ლენინურ პარტიებთან საიმედოდ უზრუნველყოფს სოციალისტური მონღოლეთის განუხრელ აყვავებას, მის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას, ყოველგვარი ხელყოფისაგან დაცვასა და მისი ისტორიული მონაპოვრების განმტკიცებას.

ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრმა, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრემიერ-მინისტრმა ფამ ვან დონგმა გულწრფელი მადლობა გადაუხადა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებს ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ ბრძოლაში მხარდაჭერისა და დახმარებისათვის. ამით მაღეიდან ვლინდება გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხალხის მაღალი პროლეტარული ინტერნაციონალიზმი, საბრძოლო სოლიდარობა, რომელიც ჩვენი ორი ქვეყნის ხალხებს აკავშირებს. ვიეტნამელი ხალხი, განაცხადა, მან, გულითადად მადლობას უძღვნის სოციალისტურ ქვეყნებს, ხუთიოდე კონტინენტის მშვიდობისმოყვარე მთავრობებსა და ხალხებს განსაკუთრებით დიდი და ძვირფასი საერთაშორისო მხარდაჭერისა და დახმარებისათვის.

ვიეტნამელ ხალხს, თქვა ფამ ვან დონგმა, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იმოქმედოს პრეზიდენტ ხო ში მინის ანდერძის შესაბამისად, იბრძოლოს და დაამარცხოს ამერიკელი აგრესორები, რათა დაიცვას თავისი ეროვნული უფლებანი. ვიეტნამელ ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი იბრძოლოს ჩრდილოეთში სოციალიზმის წარმატებითი მშენებლობისათვის და შეისრულოს თავისი საერთაშორისო მოვალეობა — საიმედოდ დაიცვას სოციალისტური ბანაკის სამხრეთ-აღმოსავლეთი ფორპოსტი, ხელი შეუწყოს მშვიდობის, ეროვნული დამოუკიდებლობის, დემოკრატიისა და სოციალური პროგრესის საქმეს მთელ მსოფლიოში.

ორატორი მიესალმა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტის ვალტერ ულბრიხტის ზრდას და მარქსიზმ-ლენინიზმის ბრწყინვალე მოღვაწეს მარქსისა და ენგელსის სამშობლოში.

ფამ ვან დონგმა განაცხადა, რომ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკა თანმიმდევრულად უჭერს მხარს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სამართლიან ბრძოლას დასავლეთ გერმანიის იმპერიალიზმის იმპერიალიზმის ექსპანსიონისტური და რევანშისტული პოლიტიკის წინააღმდეგ.

რუმინეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის წევრმა, რუმინეთის სოციალისტური რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილემ იონ პეტრანმა განაცხადა, რომ საერთაშორისო ასპარეზზე რუმინეთი მხარს უჭერს ბრძოლას იმისათვის, რომ გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა ცნონ თავისუფალ დამოუკიდებელ სახელმწიფოდ, რომ იგი დაუბრკოლებლად მონაწილეობდეს საერთაშორისო პოლიტიკურ ცხოვრებაში მშვიდობისა და სოციალური პროგრესის უზრუნველყოფის ღონისძიებებში.

როგორც ხაზგასმით აღნიშნა ორატორმა, რუმინეთს მიაჩნია, რომ ევროპის უშიშროების საკითხების ეფექტიანი მოწესრიგებისათვის, უნდა გავითვალისწინოთ მორე მსოფლიო ომის შემდეგ ისტორიულად შექმნილი პირობები და უწინარეს ყოვლისა ვცნოთ ორი გერმანული სახელმწიფო, დავამყაროთ ნორმალური ურთიერთობა მათთან, ვცნოთ ახალნალი საზღვრები, მათ შორის ოდერ-ნოისეს საზღვარი.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის საკავშირო სკუპშინის თავმჯდომარის მოადგილემ გუსტავ ვლახოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევროპის კონტინენტზე მშვიდობისა და უშიშრობის საქმის წარმატებისათვის არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ბაპიის ვიეტნამი გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სუვერენულ უფლებებს და ვცნოთ იგი.

იუგოსლავიის სოციალისტური ფედერაციული რესპუბლიკის ხელმძღვანელობა კეთილად იქცევენ იქნება მიმართული, რომ განვითარდეს ურთიერთობა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკასთან.

ჩეხ ყველაფერს ვიტონჭამ, რომ გერმანიის იმპერიალიზმმა თავისი ბინძური ხელი არ შეახოს გერმანელი ერის პირველ სოციალისტურ სახელმწიფოდ, რომელსაც მშრომელი ხალხი მართავს, განაცხადა თავის სიტყვაში გერმანიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მეორეანმა ალ. ულბრიხტმა. ეს ნიშნავს, ალ. ულბრიხტმა თქვა, რომ ევროპაში ომი ალარ იქნება. ეს ნიშნავს, ალ. ულბრიხტმა ალ. ულბრიხტმა, ომ ალარ ალ. ულბრიხტმა, ომ ალარ ალ. ულბრიხტმა, ომ ალარ

საქართველოს ფეხბურთი და ჩაჩქენი

ახალი პავილიონები, ატელიეები

ზუგდიდი. (საკ. კორ.). რაიონში 125 საყოფაცხოვრებო მომსახურების ობიექტი მუშაობს, რომლებიც მოსახლეობას სხვადასხვა სახის მომსახურებას უწევენ. ამ უბნებზე დასაქმებულია 220 სხვადასხვა სპეციალობის მუშა, ხელოსანი, სპეციალისტი, რომლებმაც გასულ წელს რაიონის მშრომელებს 182 ათასი მანეთის სხვადასხვა სამუშაო და დაკვეთა შეუსრულეს.

უკანასკნელი ორი წლის მანძილზე რაიონის საყოფაცხოვრებო მომსახურების ქსელს შეემატა რადიოსა და ტელევიზორების შეკეთების, საოჯახო ელექტრომოწყობილობის, საიუველირო და კერამიკულ ნაკეთობათა, ელექტროშედუღების სახელოსნოები და სხვ.

გორის, წითელწყაროსა და წყალტუბოს რაიონების კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების თაოსნობას, რომლებმაც იკისრეს 1968-1970 წლებში თავიანთი ძალებითა და საკუთარი სახსრებით აშენონ საყოფაცხოვრებო მომსახურების საწარმოები, დროულად გამოეხმაურნენ და მხარი დაუჭირეს რაიონის კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა. ამ თაოსნობის პასუხად საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატისათვის თავიანთი ძალებითა და საკუთარი სახსრებით აგებულ იქნა კეთილმოწყობილი ნაგებობანი ინგირისა და ონარის ჩაის საბჭოთა მეურნეობების, ინგირის, ჩხორცის კოლმეურნეობებში. ახლახან საექსპლოატაციოდ გადაეცა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახსრებით აგებული საყოფაცხოვრებო მომსახურების შენობები ჭკადუაშში, ორჯონიკიძეში, ნარაზენის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში, კურორტ ქაიშში.

თეატრალური ქრონიკა

სოხუმის ს. ჭანბას სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის აფხაზური დასი მიმდინარე სეზონში დასადგმელად ამზადებს კ. გამსახურდიას — „მთვარის მოტაცებას“, ბ. შინკუბას „სიმღერას კლდეზე“, მ. თარბას — „მაცხტას“ და სხვ.

ქართველმა მსახიობებმა სეზონის გახსნისათვის მოამზადეს ახალგაზრდა დრამატურგის ა. გახვიანის პიესა „მამა, დაიდე თოფი“. პიესის დადგმა ეკუთვნის ქართული დასის მთავარ რეჟისორს ლ. პაქსაშვილს, მხატვრული გაფორმება — თ. ყვანიას, მუსიკა კომპოზიტორ მ. ბერიკაშვილისა. ცეკვები დადგა რესპუბლიკის დამსახურებულმა არტისტმა ქორეოგრაფმა გ. ვაშაკიძემ.

ნ. ფიქაშავიძე.

ამ დღეებში ონისა და ამბროლაურის სახალხო თეატრის კოლექტივებმა წარმოადგინეს ალ. ყაზბეგის ისტორიული დრამა „ქეთევან წამებული“, რომელიც დადგა და მხატვრულად გაფორმა საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებულმა მოღვაწემ გ. ჯაფარიძემ.

სპექტაკლში დასამახსოვრებელი სახეები შექმნეს მსახიობებმა: ნ. სხიერელმა, ბ. ხიდეშელმა, ჯ. გონგაძემ, ვ. ჯაფარიძემ, გ. ლობჟანიძემ, მ. გავაშელმა. მაყურებელმა ამ ორი თეატრის ერთობლივი სპექტაკლი გულთბილად მიიღო.

დ. ხახიაშვილი.

ახალგაზრდობა და „ჭკვიანი მანქანები“

ეს ორი სურათი გადაღებულია თბილისში საქართველოს სსრ ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოთვლითს ცენტრში, სადაც წარმოება გამოთვლის ოპერაციები სახალხო მეურნეობის საჭიროებისათვის.

აქ ძირითადად ახალგაზრდობა მუშაობს. ფოტოსურათებზე ხედავთ ორ ახალგაზრდას. ზემო სურათზეა ოპერატორი ციური მახარობლიშვილი, რომელიც მუშაობს და იმავე დროს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიური ფაკულტეტის მეორე კურსის სტუდენტია; ქვემო სურათზე —უფროსი ინჟინერი შალვა გუგულაშვილი ამოწმებს მონაცემებს გამოსათვლელ მანქანაში ჩადებამდე.

ფოტო მ. დათიკაშვილისა.

ხალხური დედოფალები

იქნებ თქვენც გაგიკეთებიათ უბრალო ჯოხის ან ნაჭრებისაგან დედოფალ? აბა გაიხსენეთ!

ახლა ჩვენს გოგონებს გაუკვირდებათ, ასეთი სასაცილო თოჯინა რად გვინდა, როცა თანამედროვე მოდაზე ჩაცმული თვალუბუშუნა თუ „მოლაპარაკე“ თოჯინები თითქმის ყველას ჰყავთ. მაგრამ ასე იყო ყოველთვის?

აი სწორედ ამ სათამაშოების ისტორიას გვაცნობს **ნინო ღოღობერიძის „ქართული ხალხური დედოფალების კატალოგი“**, რომელიც გამოსცა გამომცემლობა „მეცნიერებამ.“

კატალოგი ასახავს საქართველოს ს. ჯანაშიას სახელობის სახელმწიფო მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცულ ყველა ქართულ ლიდოფალს. ეს კოლექცია შედგება კავკასიის მუზეუმის ფონდებიდან გადმოსული, სხვადასხვა პირის მიერ შექმნილი თუ შემოწირული, მუზეუმის ექსპედიციათა მიერ მოპოვებული დედოფლებისაგან.

კატალოგს წინ უძღვის მისი შემდგენის, მუზეუმის მეცნიერი მუშაკის ნინო ღოღობერიძის ვრცელი ნარკვევი, სადაც ეთნოგრაფიულ, არქეოლოგიურ თუ სხვა მეცნიერულ მასალებზე დაყრდნობით განხილულია ქართული ხალხური დედოფალები.

ნარკვევში მოთხრობილია მათს საკულტო, სამეურნეო დანიშნულებაზე, რაც შემდეგ დროთა განმავლობაში დედოფალამ თანდათან დაკარგა და ბავშვთა გასართობ სათამაშოდ იქცა.

ხალხური თოჯინები ხელს უწყობს ბავშვის ფანტაზიის გამდიდრებას, ეხმარება მას ხელგარჯილობის ათვისებაში, აჩვევს ძერწვას, ფერების შერჩევა-შეხამებას.

ნინო ღოღობერიძე ხალხური თოჯინების მეცნიერულ შესწავლასთან ერთად ყურადღებას ამახვილებს იმ მასალათა ნაირსახეობაზე, რასაც წლების განმავლობაში იყენებდნენ დედოფალებისათვის, აგრეთვე განიხილავს თოჯინების ჩაცმულობას.

კატალოგს დართული აქვს რეზიუმე რუსულ და ინგლისურ ენებზე, რაც ხელს შეუწყობს საზღვარგარეთელ სტუმრებს ჩვენი ქვეყნის ხალხური თოჯინების გაცნობაში.

კატალოგის რედაქტორია ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი ვ. ბარდაველიძე, გამომცემლობის რედაქტორი — ელ. ქაჯაია, მხატვარი — ბ. ბერძენიშვილი.

აღსანიშნავია, რომ ამ რამდენიმე თვის წინათ გამოჩენილი ქართველი მხატვრის ნიკო ფიროსმანაშვილის გამოფენაზე პოლონეთში ქართული ხალხური ხელოვნების სხვა ნიმუშებთან ერთად ექსპონირებული იყო საქართველოს ჯანაშიას სახელობის მუზეუმის ეთნოგრაფიის განყოფილების ფონდში დაცული ქართული ხალხური თოჯინებიც, რომლებსაც პოლონელთა დიდი მოწონება ხვდათ. ქართული ხალხური თოჯინების შესახებ ვრცელი წერილი დაიბეჭდა პოლონურ ჟურნალში — „ტი ი ია“, აქვე გამოქვეყნებულია თოჯინების რამდენიმე ფოტოსურათი.

ლ. ხუციშვილი.

• • •

სურათებზე: ქართული ხალხური დედოფალების კატალოგის გარეკანი; პოლონურ ჟურნალ „ტი ი ია“-ში გამოქვეყნებული გვერდი, სადაც დაბეჭდილია წერილი ქართულ ხალხურ დედოფალებზე.

თბილისი — ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს გორში იხსნება ქალთა საკავშირო ჩემპიონატი ჭადრაკში

იწყება XXIX ჩემპიონატი

დღეს გორში იხსნება ქალთა XXIX საკავშირო საჭადრაკო ჩემპიონატი. ერთი თვის განმავლობაში ჭადრაკის გულშემატკივრები დიდი ინტერესით ადევნებენ თვალს ამ ასპარეზობას, რომელიც თავისი შემადგენლობით მეტისმეტად ძლიერია.

გორის ასპარეზობას წინ უძღოდა 4 შესარჩევი ტურნირი ლიპეცკში, ვინიცაში, ჩელიაბინსკსა და უფგორდში. თვითეული ნახევარფინალიდან ფინალში გადიოდა 4-4 მოჭადრაკე. აი ამ რჩეულთა გვარებიც: საერთაშორისო ოსტატები ვ. ზვორიკინა (მინსკი), ვ. კოზლოვსკაია (პიატიგორსკი), ო. ანდრეევა (ხარკოვი), ვ. ბორისენკო (ტაშკენტი), ტ. ზატულოვსკაია (ბაქო), ოსტატები ლ. ირისტოლი (ლენინგრადი), მ. შული (ლვოვი), თ. გოლოვეი (მინსკი), ნ. კონოპლიოვა (მოსკოვი), ა. მუსლიმოვა (ალმა-ატა), ლ. შადურა (კურსკი), ე. რუბლოვა (მოსკოვი), პირველთანრიგოსნები თ. ხუციშვილი (თბილისი), ლ. სემიონოვა (სმოლენსკი), ბ. ვილერტი (რიგა) და ო. პედკო (სოჭი). გასაგებია, რომ თვითეული ეს პირველთანრიგოსანიც კარგი ოსტატის ძალით თამაშობს. საინტერესოა აღინიშნოს, რომ ფინალის მიღმა დარჩა არა მარტო ბევრი ცნობილი ოსტატი, არამედ მსოფლიოს ყოფილი ჩემპიონებიც ე. ბიკოვა (მოსკოვი) და ლ. რუდენკო (ლენინგრადი).

5 მოჭადრაკე ფინალში პერსონალურად მიიწვიეს — მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი (თბილისი), მისი ყოფილი მეტოქე ა. კუშნირი (მოსკოვი), სსრ კავშირის ჩემპიონი ნ. ალექსანდრია (თბილისი), შარშანდელი ჩემპიონატის პრიზიორები ა. ჩაიკოვსკაია (თბილისი) და მ. რანიკუ (ტალინი). მაგრამ მსოფლიოს ჩემპიონი ნ. გაფრინდაშვილი და ა. კუშნირი გორში არ ითამაშებენ. მსოფლიოს ჩემპიონს, ეტყობა, არ სურს ჩაერიოს თავისი მომავალი მეტოქეების ბრძოლაში, რათა ამით არ იმოქმედოს ჩემპიონატის შედეგზე. ეს, რა თქმა უნდა, მართებული გადაწყვეტილებაა. ა. კუშნირს არა აქვს სპორტული სტიმული ითამაშოს საკავშირო ჩემპიონატში, რადგან იგი აგტომატურად ითვლება მსოფლიოს ჩემპიონობის ერთ-ერთ პრეტენდენტად. სულ პრეტენდენტების რიცხვი ოთხია — დანარჩენი სამი გასაგებად უნდა გამოვლინდეს.

ძირითადი, რაც გორში უნდა გადაწყდეს, არის საზონათაშორისო ტურნირის 3 საგზურის საკითხი. მაგრამ ჩემპიონატის ყველა მონაწილე როდი იბრძვის ამ საგზურისათვის. საქმე ის არის, რომ ტ. ზატულოვსკაიასა და ვ. კოზლოვსკაიას, როგორც პრეტენდენტთა უკანასკნელი ტურნირის პრიზიორებს, ისეც აქვთ საზონათაშორისო ასპარეზობაში გამოსვლის უფლება. ამიტომ ისინი გორში „მხოლოდ“ ჩემპიონობისათვის იბრძოლებენ.

მაშ ასე, რჩება 3 პრიზის 18 პრეტენდენტი. გულის სიღრმეში თვითეული მოჭადრაკე იმედოვნებს, რომ 1971 წელს სწორედ ის შეხვდება ნ. გაფრინდაშვილს. ამ გზაზე კი გორის ასპარეზობა მეტად მნიშვნელოვანი საფეხურია.

დარჩა სამი ტური

გადავხედოთ მონაწილეთა მდგომარეობას

გუშინ ქალთა საკავშირო ჩემპიონატზე დასვენების დღე იყო. ახლა, როდესაც ასპარეზობის დამთავრებას 3 ტურიღა აკლია, მონაწილეთა მდგომარეობა ასეთია:

პირველ-მეორე-მესამე ადგილებს 12 ქულით იყოფენ მსოფლიოს ექს-ჩემპიონები ვ. სმისლოვი, ტ. პეტროსიანი და სსრ კავშირის ჩემპიონი ლ. პოლუგაევსკა, 11,5 ქულით მეოთხე ადგილზეა გროსმაისტერი ე. გელერი.

11 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ გროსმაისტერ რ. ხოლმოვსა და საერთაშორისო ოსტატ ვ. სავონს. ამ გადადებულ პარტიებში ორიგეს ძალიან უჭირს. მათ „ემუქრება“ ი. პლატონოვი. 11 ქულა აქვს გროსმაისტერ ა. გიასლისს, 10,5 ქულა — ოსტატ ი. ბალაშოვს, 10-10 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ გროსმაისტერებს ლ. შტეინსა და მ. ტაიმანოვს. 10 ქულა მოაგროვა ოსტატმა ო. ავერკინმა, 9,5 ქულა და 2 გადადებული პარტია აქვს ოსტატ ი. პლატონოვს.

ყველა ეს მონაწილე ინარჩუნებს საპრიზო ოთხეულისათვის ბრძოლის მეტნაკლებ შესაძლებლობას.

9 ქულა და ერთი გადადებული პარტია აქვს გროსმაისტერ ვ. ლიბერზონს, 9 ქულა და თითო გადადებული პარტია — მსოფლიოს ექს-ჩემპიონ მ. ტალსა და საერთაშორისო ოსტატ ს. ჟუხოვიცკის, 8,5 ქულა — გროსმაისტერ ა. ლუტიკოვს, 8 ქულა — ოსტატ ი. ზაიცევს, 7,5 ქულა და ერთი გადადებული პარტია — გროსმაისტერ ე. გუფელდს, 7,5 ქულა — გროსმაისტერ ა. ზაიცევს, 7 ქულა და 2 გადადებული პარტია — გროსმაისტერ ე. ვასიუკოვს, 6,5 ქულა მოაგროვა გროსმაისტერმა ს. ფურმანმა, 6 ქულა — ოსტატმა ვ. ტუმაკოვმა, 5,5 ქულა — ოსტატმა ვ. ჟუბრეიჩიკმა.

ასუფრიან დაფასთან

მოსკოვში ასუფრიან დაფას მიუსხდნენ ძველი მეტოქენი ა. ანდრეიკო და ი. კუპერმანი — დაიწყო მატჩ-რევანში მსოფლიოს ჩემპიონის წოდებისათვის. გათამაშდა სამი ტური. მოახპარეზენი სამივეჯერ ყაიმზე შეთანხმდნენ — მატჩის ანგარიშია 1,5:1,5.

საბჭოთა გუნდი — ჩემპიონი

საბჭოთა რაპირისტებმა ბავანის ფინალში დამარცხეს პოლონელები — 9:1 და მსოფლიოს ჩემპიონები გახდნენ. მესამე ადგილი ხვდა რუმინეთის გუნდს, რომელმაც სძლია ოლიმპიურ ჩემპიონებს — ფრანგ რაპირისტებს.

ჰოლანდიელი მეტოქენი

დორტმუნდი. გაიმართა ხელბურთში ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მერვედფინალის წილისყრა ვაჟთა გუნდებისათვის. სსრ კავშირის ჩემპიონი ორჯერ შეხვდება ჰოლანდიის ქალაქ სიტარდის გუნდს.

საბჭოთა ხელბურთელები მეხუთეჯერ მიიღებენ მონაწილეობას ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშებაში. თასისათვის იბრძოლნენ კიევისა და თბილისის „ბურევესტნიკის“ და სპორტული კლუბის „ეუნცევოს“ გუნდები. (საკლესი).

ფეხბურთის ამბები

ნაკრები ემზადება

კიევი დიდი მატჩის მოლოდინშია — 15 ოქტომბერს აქ გაიმართება მსოფლიო ჩემპიონატის შესარჩევი მატჩი საბჭოთა და თურქეთის ნაკრებ გუნდებს შორის. გ. კაჩალინმა უკვე დაასახელა 22 ფეხბურთელი, რომლებიც შეყვანილი არიან წინასწარ განაცხადში.

მმპარემები: ე. რუდაკოვი („დინამო“ კიევი), ა. კავაზაშვილი („სპარტაკი“ მოსკოვი), ალ. ტკაჩენკო („ზარია“ ლუგანსკი), მცველები: რ. ძოძუაშვილი და მ. ხურცილავა („დინამო“ თბილისი), ე. ლოგჩევი და გ. ლოგოფეტი („სპარტაკი“), ვ. აფონინი, ა. შესტერნინოვი და ვ. კაპლიჩნი (ცსკა); ნახევარმცველები: ვ. მუნტიანი და ვ. სერებრიანიკოვი („დინამო“ კიევი), ნ. კისელიოვი („სპარტაკი“), კ. ასათიანი („დინამო“ თბილისი); თავდასხმელები: ნ. ოსიანინი („სპარტაკი“), ა. პუზანჩი, ა. ბიშოვენკი, ე. ხმელნიკი („დინამო“ კიევი), გ. ნოდია („დინამო“ თბილისი), ა. ზინჩენკო (სკა როსტოვი), მ. გეროკვოიჩი („ტორპედო“ მოსკოვი), გ. ევრიუქიხინი („დინამო“ მოსკოვი).

ბრაზილიელების მოთხოვნა

ცნობილმა ბრაზილიურმა კლუბმა „კრუზეირომ“ ფიფას გაუგზავნა წერილი, სადაც მოითხოვს ოფიციალურ მსოფლიო რეკორდად მიიჩნიონ მეკარე რაულის მიღწევა. მეკარე რაულმა „კრუზეიროს“ კარში გოლი არ გაუშვა 1.027 წუთის მანძილზე. ასეთი მიღწევა არავის არ ჰქონია. დღემდე ფიფა არ აწარმოებდა სხვადასხვა საფეხბურთო რეკორდების ოფიციალურ აღრიცხვას. „კრუზეირო“ მოუწოდებს მას შემოიღოს ასეთი ტრადიცია.

ნაირ-ნაირი

ფეხბურთელს ცვლის მოკრივე

საფრანგეთის ქალაქ მეტცში გამართულ ფეხბურთის მატჩში სტუმართა საშიში ცენტრალური თავდამსხმელი ხორას ნარე მასპინძლებმა ჩხუბში ჩაითრიეს და ისე მიბეგვეს, რომ მინდვრიდან საკაცით გაიტანეს. მაგრამ, ჰოი საოცრებავ, ორიოდე წუთის შემდეგ იგი ქარავით შემოიჭრა სტადიონზე და მოწინააღმდეგეთა გუნდს დაერია. ეოტაც, და მთელი გუნდი ნოკაუტირებულ იქნა. თამაში შეწყდა, ხოლო პოლიციაში აღმოჩნდა, რომ ხორასი... ტყუპის ცალს შეეცალა. იგი, როგორც წესი, ყოველთვის „რეზერვში“ ჰყოლია მოსაზრებული ნარეს. და აი ფეხბურთელის ძმა — პროფესიონალი მოკრივე „თამაშში“ მხოლოდ მაშინ ჩაებმება ხოლმე, როცა საჭირო დრო დგება.

ბერძენ ტენისისტთა ბედი

ბერლინი. ბერლინის ტენისის ტურნირზე ბერძენ ტენისისტთა ბედი ასეთ ფერად ფერებში ერეოდა: ბ. ბერძენ ტენისისტ ბ. ბ. ბ.